



მიტროპოლიტი ილარიონი: კონსტანტინეპოლი ხელყოფს სხვის საკუთრებას



უნგრეთში ვიზიტის დროს კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ბართლომეოსმა განაცხადა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ბუდაპეშტისა და უნგრეთის ეპარქიის საკათედრო ტაძარი – მიძინების ტაძარი ბუდაპეშტში – „კომუნისტური რეჟიმის მწუხარე და ბურუსიან დღეებში, ბნელი და მზაკვარი მაქინაციებითა და საბჭოთა ხელისუფლების გაუსაძლისი წნეხით, ძალადობრივად იქნა მიტაცებული, და სრულიად უკანონოდ და არაკანონიკურად – მოსკოვის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული, რომელიც დღემდე განაგრძობს მკრეხელურად მის ფლობას“. რია-ნოვოსტის თხოვნით, ამ განცხადებას კომენტარი გაუკეთა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა და გვიამბო ტაძრის წარსულისა და დღევანდელის შესახებ.

- მეუფევე, ახლახან თქვენ სტუმრობდით ბუდაპეშტს, სადაც სიტყვით გამოხვედით ევქარისტული კონგრესის გახსნაზე. თქვენს შემდეგ კი იმავე კონგრესზე აღმოჩნდა კონსტანტინეპოლის პატრიარქი ბართლომეოსი. ლიტურგიის შემდგომ ქადაგებაში, რომელიც მან კათოლიკურ ტაძარში აღასრულა, ახსენა მოსკოვის საპატრიარქოს ბუდაპეშტის მიძინების ტაძრის „მიტაცება“. რა კომენტარს გააკეთებდით ამ სიტყვებზე?

- მიძინების ტაძარი ბუდაპეშტში არასდოს ყოფილა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს საკუთრებაში. ის აიგო XVIII ს. ბოლოს იმ სამრევლოს მიერ, რომელსაც უმეტესად ბერძნები და ვლახები შეადგენდნენ. ღვთისმსახურებები მასში ბერძნულ ენაზე ტარდებოდა. მაგრამ შედიოდა ის არა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, რომელიც ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიაზე აკრძალული იყო, არამედ – დამოუკიდებელი კარლოვაცკის სამიტროპოლიტიში, რომელიც შემდგომში გაერთიანებული სერბეთის ეკლესიის შემადგენლობაში შევიდა. მართალია, XX ს-ს 20-იან წლებში კონსტანტინეპოლი შეეცადა უნგრეთში შეექმნა თავისი საეგზარქოსო, მაგრამ ის მხოლოდ ქალაქში არსებობდა. თვით უნგრეთში ამ საეგზარქოსოს არანაირი კვალი არ იძებნება, არანაირი ნორმატიული ბაზა მისთვის უნგრულ კანონმდებლობაში არ შექმნილა.

1945 წლიდან ტაძრის სამრევლოს წარმომდგენლები არაერთხელ მიმართავდნენ მოსკოვისა და სრულად რუსეთის პატრიარქ ალექსი I-ს თხოვნით, მიეღო სამრევლო მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში. 1949 წელს შეიქმნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უნგრეთის საბლალაჩინო (საკეთილმოწესეო), ხოლო, 1950 წელს მიძინების ტაძარი და კიდევ რამდენიმე სამრევლო, სადაც ღვთისმსახურება უნგრულად ტარდებოდა, შევიდნენ მოსკოვის საპატრიარქოს შემადგენლობაში. ამგვარად, მოხდა საეკლესიო იურისდიქციის შეცვლა, სამრევლო კი იგივე დარჩა. თანაც რუსეთის ეკლესიის წიაღში ამ სამრევლოების მიღებასთან დაკავშირებით წერილების გაცვლა ხდებოდა არა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან, რომელთანაც ამ სამრევლოებს არასოდეს არანაირი კავშირი არ ჰქონიათ, არამედ სერბეთის ეკლესიასთან.

2000 წლების დასაწყისში, კონსტანტინეპოლმა პრეტენზია განაცხადა მიძინების ტაძარზე და სასამართლოში ისკი შეიტანა. სამივე სასამართლო ინსტანცია იმ პერიოდს დაემთხვა, როცა მე უნგეთის ეპარქიას ვმართავდი; და სამივე ინსტანცია მოვიგეთ – ჯერ ბუდაპეშტის საქალაქო სასამართლო, შემდეგ სააპელაციო სასამართლო და ბოლოს – უმაღლესი სასამართლო. ჩვენ შევძელით დაბეჯითებით დაგვერწმუნებინა, რომ მიძინების ტაძრის ახლანდელი სარეველო ბერძნების, უგრელებისა და სხვა ეროვნების წარმომადგენლების შემადგენლობით, არის თავდაპირველი სამრევლოს პირდაპირი უფლებამემკვიდრე. მეტსაც გეტყვით, ჩვენი ტაძრის კლირში დღემდე მსახურობენ მისი პირველდამაარსებელთა პირდაპირი შთამომავლები.

ამიგომ კონსტანტინეპოლის პატრიარქს შეუძლია, როგორც ნებავს, ისეთი პრეტენზიები განაცხადოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ სასამართლო წესით უკვე სამჯერ და საბოლოოდ დამტკიცებულია, რომ ამ პრეტენზიებს არავითარი საფუძველი არ გააჩნია. მოსეს რჯულის მეათა მცნება ამბობს: „არა გული-გითქუმიდეს ცოლსა მოყუსისა შენისასა, არცა აგარაკსა მისსა, არცა მონასა მისსა, არცა მწვეალსა მისსა,

არცა ჯარსა მისსა, არცა კაპრაულსა მისსა, არცა ყოველსა საცხოვარსა მისსა, არცა რაოდენი-რაჲ არს მოყუსისა შენისა“ (გამოს. 20:17). დროული იქნებოდა, კონსტანტინეპოლის პატრიარქისთვის ამ მცნების შეხსენება. როდესაც ასეთ იდეებს ხმამაღლა გამოთქვამს, ის ამით სხვის საკუთრებას ხელყოფს, რომლის პირველფლობელიც სასამართლოს მიერაა განსაზღვრული. გარდა ყველაფრისა, ამით იგი ეჭვქვეშ აყენებს უნგრეთის სასამართლო ინსტანციების გადანაცვეტილებათა უფლებამოსილებას.

უნგრეთის სახელმწიფო ძალიან ბრძნულად მოიქცა, როდესაც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს საჩუქრად გადასცა ტერიტორია და შენობების კომპლექსი ტაძრის ასაშენებლად (პატრიარქმა ბართლომეოსმა აკურთხა უკვე ტაძრის საძირკველი). თითქოსდა, კიდევ რა უნდა უნდოდეს? მაგრამ – არა, თურმე ეს საკმარისი არ არის. უშუალოდ მჩუქნებელთა თანდასწრებით პატრიარქი ბართლომეოსი ახმოვანებს თავის პრეტენზიას კიდევ იმ სატაძრო შენობაზე, რომელიც კონსტანტინეპოლის არასდროს ყოფილა.

უნგრეთის სახელმწიფო საერთოდ დიდი ყურადღებით ეკიდება ტრადიციულ რელიგიურ კონფესიებს, ასუბსიდირებს მათ საქმიანობას. მიძინების ტაძარში საემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები ხორცილდება უნგრეთის სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით.

როდესაც 2003 წელს ბუდაპეშტში ჩავედი, პირველი, რაც დავინახე, ჩვენი მიძინების ტაძარი იყო ერთი შპილით. მე ამიხსნეს, რომ მეორე შპილი ბომბმა იმსხვერპლა მეორე მსოფლიო ომის დროს. მაშინვე დავისახე ჩემ წინაშე ამოცანა: აღმედგინა ეს შპილი. უნდა ითქვას, რომ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში მართლმადიდებლური ტაძრები გარეგნულად არფრით განსხვავდებოდნენ კათოლიკურებისგან. მხოლოდ ტაძარში შესული, როდესაც კანკელს დაინახავ, მიხვდები, რომ მართლმადიდებლური ტაძარია. გარედან გუმბათები კი არა, შპილები ჩანს და აი, ერთ-ერთი შპილი აკლდა.

რამდენიმე წელი დასჭირდა სასამართლო გარჩევებს, ხოლო როცა დასრულდა, ჩვენ კომპანია „ლუკოილის“ დახმარებით შევძელით აგვეშენებინა ქვის პოსტამენტი მეორე შპილის ქვეშ. შემდგომი სამუშაოები განხორციელდა უკვე უნგრეთის კათედრაზე ჩემი მემკვიდრეების მიერ. დაკარგული შპილი სრულიად იქნა აღდგენილი, გარედან მთელი რემონტი დავასრულეთ და ახლა შიდა სამუშაოები მიმდინარეობს. ეს ძალიან მასშტაბური სარესტავრაციო პროექტია. მისი დასრულების შემდეგ, იმედია, ტაძარი მრევლის წინაშე მთელი თავისი მშვენიერებით წარმოსდგება.